# ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი 2018 წლის 16 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეა გელანტია
2. აბელი ქირია
3. გიგა ნასარაია
4. მზია ლემონჯარია
5. შადიმან ჭილაია
6. მერაბ ფილიპია
7. გია წულაია

სხდომას თავმჯდომარეობდა თ. გელანტია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რ. ხილაძის 2018 წლის 12 იანვრის N40 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურისა და განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" თავმჯდომარის კ. ლატარიას 2018 წლის 12 იანვრის N44 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" შექმნის თაობაზე);

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2018 წლის 17 იანვრის N11/04 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

5. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. ჯიქიას 2017 წლის 11 დეკემბრის N594 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე ამავე სოფლში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

6. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. ჯიქიას 2017 წლის 11 დეკემბრის N595 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტის შესახებ“);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N03/65 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

10. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

11. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

12. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 18 იანვრის N03/221 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

13. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. ალექსანდრიას 2018 წლის 18 იანვრის N7/00 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა**

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რ. ხილაძის 2018 წლის 12 იანვრის N40 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურისა და განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს საკრებულოს წევრის რ. ხილაძის განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურისა და განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაწევრიანების თაობაზე და განაცხადა, რომ რ. ხილაძეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უფლება აქვს იყოს აღნიშნული კომისიების წევრი. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის კომისიის დასკვნასთან ერთად საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" თავმჯდომარის კ. ლატარიას 2018 წლის 12 იანვრის N44 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" შექმნის თაობაზე).

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" თავმჯდომარის კ. ლატარიას განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" შექმნის თაობაზე და განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებმა: კახა, ლატარიამ, კობა გოქაძემ და ლაშა ცატავამ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში შექმნეს ფრაქცია „სამართლიანობისათვის". მათ მიერ ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კახა ლატარია, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ - კობა გოქაძე. ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით

საკითხის კომისიის დასკვნასთან ერთად საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა და განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა შემუშავებულია კომისიის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2018 წლის 17 იანვრის N11/04 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: თ. გელანტია** - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და განაცხადა, რომ საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა

შემუშავებულია საკრებულოს დებულებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში

**სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.**

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი-არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე თეა გელანტია